ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4185072

ნომერი: AR1629955

თარიღი : 17.09.2018

გაცემის თარიღი : 24.09.2018

გაცნობის თარიღი : 25.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტოვ- ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N 10 , (ნაკვ. 29/68) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტოვ- ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N 10 , (ნაკვეთი N29/60) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტ-ივანოვი , N10-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტ-ივანოვი , N 10 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ვარსემაშვილი პ/ნ 01001017558
- ტაშკენტის შესახვევი # 4

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: №1652031; (211, 12.12.14)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.12.2014

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3602613
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.10.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სექტორი 3 , დ და ე ბლოკი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ფავლენიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405133822
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ ვარსემაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001017558

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 7744.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2763.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 46439.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 29086.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1470.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 4983.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 8568.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 40.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2292.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 142881.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 133211.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 9670.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 74.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 70.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1 2044.0 კვ.მ = 0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2 40376.0 კვ.მ = 5.20
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3 774.4 კვ.მ = 0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან შეიცვალა მიწის ნაკვეთების კონფიგურაცია, საკითხი საჭიროა დააყენოთ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილებაზე;

2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №413 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის

ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, პროექტის შემადგენელ ერთ-ერთ სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.
აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით.

3. დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: საჭიროა წარმოდგენილი იქნას შპს იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანის ამჟამინდელი დირექტორის, ნოდარ სანდუხაძის მიერ გაცემული მინდობილობა ან ნოდარ სანდუხაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე, დამკვეთის ინფორმაციის ველებში დამკვეთის სახელი და გვარისა და პირადი ნომრის ველებიც შეივსოს ნოდარ სანდუხაძის მონაცემებით.

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;
.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: დამატებით წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე - ხელმოწერით (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით); ტოპოზე საჭიროა მონიშნოთ მოსაჭრელი/გადასარგავი ხეები და დაიტაოთ ექსპლიკაცია წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად; გენგეგმაზე საჭიროა დაიტანოთ კეთილმოწყობა და გამწვანება - დენდროლოგიური პროექტის გათვალისწინებით;

5. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №17-011815544 წერილით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა, წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება და შესაბამისი დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და განაახლოთ არსებული ფოტოსურათები დღევანდელი მდგომარეობით - გადაღების თარიღის ფიქსაციით;

6. განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: საჭიროა მიუთითოთ ბინების და ავტოსადგომების რაოდენობა;

7. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).:
საავტომობილო პანდუსები შესაყვანია განაშენიანების ფართში;

8. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:
.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: გენგეგმაზე და გეგმებზე დასატანია შენობებიდან საკადასტრო საზღვრებამდე დაშორების მანძილები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ატვირთულ შენობის განთავსების სქემას. ასევე გაითვალისწინეთ, რომ შენობის კონფიგურაციაც მოსაყვანია განაშენიანების რეგულირების გეგმასთან შესაბამისობაში. გეგმებზე, ჭრილებზე და ფასადებზე დასატანია საკადასტრო საზღვარი - მიჯნის ზონებში ღიობებიდან საკადასტრო საზღვრებამდე მინიმალური დაშორების მანძილები - წითელი ხაზების მიმართ მართობულად; გენგეგმაზე და გეგმებზე საჭიროა ასახოთ ღია ავტოსადგომები, გაითვალისწინეტ, რომ ღია და დახურული სადგომები საჭიროა დაიტანოთ გრაფიკულად - გაბარიტების მითითებით, მოძრაობის სქემის და მისი სიგანის დატანით; გეგმებზე დასატანია პანდუსების საწყისი და ბოლო ნიშნულები; შესათანხმებლად წარმოდგენილი III – IV კლასს დაქვემდებარებული

შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტი უნდა მოიცავდეს გარე კედლების და სახურავის დეტალურ პროექტსაც და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მე-14 და მე-15 თავებს, რომელიც აწესებს გარე კედლების საფრის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების მინიმალურ მოთხოვნებს. აგრეთვე არეგულირებს სახურავზედა ნაგებობების დაგეგმარების მასალების, მშენებლობისა და ხარისხის სტანდარტებს.

9. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : ფოტომონტაჟზე საჭიროა მიუთითოთ ფერის საერთაშორისო - RGB და RAL კოდები;

10. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განაახლეთ ხარვეზის შესაბამისად და დაიტანეთ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დმაუშავებული პროექტიც;

11. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .სპეციალისტის სახელი და გვარი
არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .ტელეფონის ნომერი
არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .ელექტრონული ფოსტა.: აღნიშნულ ველში საჭიროა მიუთითოთ ექსპერტის მონაცემები - წარმოდგენილი ექსპერტიზის შესაბამისად;

12. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დამუშავებული პროექტი და ცხრილები საჭიროა აიტვირთოს გეგმების ველში და შესწორდეს საჭიროების შემთვევაში - ზემოარნიშნული ხარვეზების შესაბამისად;

13. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

14. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: საექსპერტო დასკვნაში საჭიროა მიუთითოთ საკვლევი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და დამატებით ასატვირთია ექსპერტის მონაცემები;

15. ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: საჭიროა საექსპერტო შეფასება-დასკვნაში განიმარტოს კონსტრუქციული პროექტის ძირითადი პარამეტრები და ინფორმაცია : საპროექტო არეალის, გამოყენებული ნორმების და სტანდარტის (საკანონმდებლო ბაზის), კონსტრუქციული გაანგარიშების და ა.შ.; ასევე, ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს საბოლოო კონსტრუქციულ პროექტსაც სადაც გათვალისწინებული ინება წაყენებული შენიშნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად განიხილოს პროექტი და გაცნობოთ ყველა შესაძლო ხარვეზი;
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.